ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-368943/12
"22" 11 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ისანი, პატარიძის ქუჩა, მიმდებარედ (საკ. კოდი №01.17.07.024.009) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1788004 17.0.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ისანი, პატარიძის ქუჩა, მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე კედლების ნაწილი შეღებილია განსხვავებულ ფერში. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების, ფანჯრების და კარებების ნახატი და გაბარიტი. +27.00 ნიშნულზე შეცვლილია ფილის და პარაპეტის ფორმა. შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია. ნაწილობრივ შეცვლილია შახტების მდებარეობა. შეცვლილია სამერცხლეების გადახურვის დახრა. შეცვლილია რელიეფის დონე.

„1-4I" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „3-3" ღერძთან კარის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი. +3.90 ნიშნულზე „2-2" და „3-3" ღერძებთან ვიტრაჟების ძირში მოწყობილია რიგელები.

„4I-1" ფასადი: +1.20 ნიშნულის ქვეშ კედელი შესაღებია. -5.80 ნიშნულზე „4I-4" მონაკვეთში მოწყობილია ავტოსადგომში შესასვლელი კარი. -5.80 და -2.90 ნიშნულებზე მინაბლოკების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. აივნებზე კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. სართულებზე „2-2" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია ღიობების გაბარიტი და ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ღიობები გისოსებით. +27.00 ნიშნულის ქვეშ მოწყობილია ღიობი გისოსით.

„გI-ა" ფასადი: შენობის ძირში „ბ-ბ" ღერძთან მოწყობილია ღიობი. ფასადის წინ არ არის დემონტირებული ამწე კონსტრუქცია (პიონერი).

„ა-გI" ფასადი: შენობის ძირში კედელი შესაღებია და დამატებულია ღიობები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის მდებარეობა. სართულებზე „ბ-ბ" ღერძის მიმდებარედ დამატებულია ფანჯრები.

შენობის შიგნით ნაწილობრივ კოლონების ნაცვლად მოწყობილია პილონები, დამატებით მოწყობილია რიგელები. -5.80 ნიშნულზე გაუქმებულია პანდუსი. „4-4" ღერძთან -5.80 და -2.90 ნიშნულებზე დამატებულია კიბეები, რის გამოც შემცირებულია ფართი. -2.90 ნიშნულზე ავტოსადგომის პანდუსის მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს. „4-4" და „გ-გ" ღერძების კვეთასთან მოწყობილია კედლები და კარი. პირველ სართულზე ფილის დონეების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს, რის გამოც შეცვლილია სართულის სიმაღლე. „4-4I" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან გაზრდილია ფილის გაბარიტი და კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „ბ-ბ" ღერძის მიმართულებით. „2-2" ღერძთან სადარბაზოში შემცირებულია პანდუსის სიგრძე. შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. +27.00 ნიშნულზე შეცვლილია კიბის კონფიგურაცია. ლიფტის განყოფილებაში აწეულია ფილის დონე.

ტერიტორიაზე „1-1" ღერძის გარეთ გამწვანების ნაცვლად მოწყობილია ასფალტის საფარი. „4I-1" ფასადის წინ „გI-გI" ღერძთან მოწყობილია საყრდენი კედელი რომელიც ცდება საკადასტრო საზღვრების.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს ,,მანუ"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ისანი, პატარიძის ქუჩა, მიმდებარედ (საკ. კოდი №01.17.07.024.009) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №3689 43/12 10.10.2016წწ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**